სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება № 6-1

დ.აბასთუმანი 03 იანვარი 2012 წელი.

ერთის მხვრივ, შპს "აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო სააავადმყოფო" (მისამართი: ადიგენის რაიონი დაბა აბასთუმანი ფალიაშვილის ქ. № 40, ს/კ 22271746 ა/ა GE84LB0113128445216000, სს"ლიბერთი ბანკი"-ს სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური განყოფილება ქ ახალციხე, ბანკის კოდი LBRTGE22) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ეკ.საკითხებში ამირან ბერიძის სახით შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხვრივ,-ფიზიკური პირი ვეფხვია ცინცაძე (მისამართი: ადიგენის რაიონი სოფელი აბასთუმანი პირადი № 03001003338 პლასტიკური ბარათის № GE41LB0711188048055000 სს„ლიბერთი ბანკი"-ს სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური განყოფილება ქ ახალციხე, ბანკის კოდი LBRTGE22) წარმოდგენილი ვეფხვია ცინცაძის სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის" 10! მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული შეთანხმება,რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული;

1.2. „შემსყიდველი" ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" „მიმწოდწბლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე", „კვირა","თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2.ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

2.1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შპს „ტუბსაწინააღმდეგო სააავადმყოფო"-ს თანამშრომელთა გადასაყვანად სამუშაო დღეებში(დღეში ერთხელ, დილით 9 საათზე, რომ სამსახურში იყვნენ თანამშრომლები)სამსახურში სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების შესყიდვა -კლასიფიკატორის კოდი- 60100000-სამგზავრო ტრანსპორტის სა შუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად.

„შემსყიდველი" „მიმწოდებელი"

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2256(ორიათასორასორმოცდათექვსმეტ) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურე-ბის გაწევასთან დაკავშირებით მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლო-ბით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (გადარიცხვა) ანგარიშსწორება მიმწოდებლის პლასტიკურ ბარათზე ეროვნულ ვალუტაში თვეში ერთხელ, ორგანიზაციისათვის შესრულე ბული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში, გაწეული მომსახურების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად თვეში ერთხელ.

5.2 მიმწოდებლის მიერ ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერის დღიდან.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების გაწევის ადგილად განისაზღვრება სოფ.ვარხანი-სოფ.აბასთუმანი-დაბა აბასთუმანი-შემსყიდველის მისამართი.

6.2. მიწოდების ვადად განისაზღვრება 2012 წლის 3 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვალდებულია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებუ ლი პირობების შესაბამისად.

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია, ვალდებულია:

ა) მოთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

ბ) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით, ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად;

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი, რომელიც წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე განახორციელებს ინსპექტირებას.

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

13. განსაკუთრებული შენიშვნები

13.1. ხელშეკრულება დგება ორ თანაბარენოვან ეგზემპლიარად,საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა „მიმწოდებელს“

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო“	ფ/პირი ვეფხვია ცინცაძე
ადიგენის რ-ნი დ.აბასთუმანი ფალიაშვილის ქ №40	ადიგენის რ-ნი სოფ.აბასთუმანი
ს/კ 222717246	პ/ნ 03001003338
სს „ლიბერტი ბანკი“ ახალციხე სამცხე-ჯავახ.რეგ.განყ.	სს „ლიბერთი ბანკი“ახალციხე
ა/ა GE84LB0113128445216000	ა/ა GE41LB0711188048055000
ბანკის კოდი LBRTGE22	ბანკის კოდი LBRTGE22

გენ.დირექტორის მოადგილე ეკ.საკითხებში:	ფიზიკური პირი:
ამირან ბერიძე	ვეფხვია ცინცაძე